ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №135777

ნომერი: AR142775

თარიღი : 20.04.2012

გაცემის თარიღი : 25.04.2012

გაცნობის თარიღი : 26.04.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , ქუჩა რუსთაველი , N 52 , (ნაკვეთი N140/42) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ვაშაკიძე პ/ნ 01024010550
- თბილისი დ. წყნეთი მ.წყნეთელის ქ. N 13

ორგანიზაცია:

- ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი კოდი: 205089526

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ: აღნიშნული მიწის ნაკვეთი რომლის საკადასტრო კოდია #01.20.01.140.048, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 3 (რზ–3)–ში, რომელიც ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება#4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით წარმოადგენს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ გამწვანებულ ტერიტორიას. ამასთან, გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება ვალდებულება: – ლანდშაფტური ზონა (ტყე) საერთო ფართობით 19607 კვ. მ. ყოველგვარი მშენებლობის გარეშე, მწვანე ნარგავების შენარჩუნებით (იხ.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან), გამომდინარე აქედან იზღუდება მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ: მიწის ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის მიღების საკითხი მომავალში უნდა აიტვირთოს www.Tas.ge-ზე ელექტრონილ განცხადებებში, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კოეფიციენტის განსაზღვრის ველში.

გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #2378346;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.